

## საქნახშირი

### პრესრელიზი

#### „საქნახშირი ჯი-აი-ჯი-იმ“ 1 ივნისი ბავშვებთან ერთად მწვანე აქციით აღნიშნა

„საქნახშირი ჯი-აი-ჯი“-ს ინიციატივით ტყიბულელმა პატარებმა „ბავშვთა საერთაშორისო დღე მწვანე აქციით აღნიშნეს. პირველი საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ქალაქში (თბოელექროსადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე) მემახტეებთან ერთად „მომავლის ხეივნის“ განაშენიანებაში მიიღეს მონაწილეობა. აქციის ფარგლებში 50 ზე მეტი ძირი მწვანე კიპარისის ნერგი დაირგო.

პატარებმა ბავშვთა საერთაშორისო დღეს მემახტეებისგან სამახსოვრო მაისურები, ფერადი ბუშტებით და ტკბილეული მიიღეს.

„ბავშვი ყველაზე ძვირფასია და ის სიცოცხლესთან და მომავალთან ასოცირდება, სწორედ, ამიტომ ასე ორიგინალურად და სიმბოლურად ავლნიშნეთ ტყიბულში ბავშვთა საერთაშორისო დღე ჩვენს პატარა მეგობრებთან ერთად. მწვანე ნარგავები, მათი მოვლა, განაშენიანება ეს საერთო საზრუნავია და ყველა ჩვენთვის მომავალია, და დღეს ჩვენს მომავალ თაობასთან ერთად ვზრუნავთ საერთო მომავალზე, ჩვენს ჯამრთელ გარემოზე“-განაცხადა „საქნახშირი ჯი-აი-ჯი“-ს გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ჩხეიძემ. მისი განცხადებით, კომპანიის მხრიდან წლის განმავლობაში არაერთი მწვანე აქტივობები იგეგმება პატარებთან ერთად.

მომავალ თაობაზე და ეკოლოგიურ გარემოზე ზრუნვა საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა. კომპანია აქტიურად აწყობს სხვადასხვა ეკოლოგიურ აქციებს, პატარებისთვის კი ეკო შეშეცნებით გაკვეთილებსა და სხვადასხვა თეატრალურ და გასართობ ღონისძიებებს. კომპანია მომავალი თაობის პროფესიულ არჩევანზეც ზრუნავს და საგანმანათლებლო პროექტის ფარგლებში წარმატებულ სტუდენტებს სტიპენდიით აჯილდოვებს, წლის განმავლობაში კი მათ სტაჟირებასა და შემდგომ დასაქმებაზე ზრუნავს.

01.06.15

შპს "საქნახშირი ჯი-აი-ჯი" დაარსდა 2006 წლის აპრილში. მისი დამფუძნებელია „ჯი-აი-ჯი“. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქვანახშირის მოპოვებითი სამუშაოები და შემდგომი გამდიდრება. დღესდღეობით საქნახშირი საქართველოში ქვანახშირის აქტივების ძირითადი მფლობელი და ერთადერთი მომპოვებელი კომპანიაა.

კომპანიის ძირითად აქტივებს წარმოადგენს ძიძიგურის და მინდელის სახელობის მადაროები, რომლებიც მდებარეობს ტყიბული-შაორის საბადოების ტერიტორიაზე. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

